2017

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ბიულეტენი №9



პერიოდული გამოცემა

გაზაფხული 2017

ფოტო: https://eurocaucasusnews.wordpress.com

შინაარსი

1. სახალხო დამცველის მისალმება 3

2. მთავარი მოვლენა 4

2.1 საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე მუშაობა დაიწყო 4

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა 4

3.1 განხორციელებული ვიზიტები 4
3.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები 4
3.1.2 ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები 4
3.1.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი 4
3.2 სამუშაო შეხვედრა 5
3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა 5
3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება 6

4. ინფორმაცია ფსიქიატირული დაწესებულების შესახებ 6

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა 8

6. საკანონმდებლო მიმოხილვა 10

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა 10
6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 11

7. ფოკუსი…….. 11

7.1 მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში 11

8. ექსპერტის მოსაზრება 14

9. საერთაშორისო სიახლეები 16

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის N9 ბიულეტენი შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ჩვენი აპარატის მიერ გაზაფხულის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე დაიწყო მუშაობა. სამუშაო მეთოდოლოგიის დახვეწისა და თანამშრომელთა სწავლების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის გაიმართა ტრენინგი, რომელსაც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი მიკოლა გნატოვსკი უძღვებოდა.

ამავე პერიოდში, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ - ფარგლებში ჩაატარეს პატიმრების სოციოლოგიური გამოკითხვა N8 და N2 პენიტენციურ დაწესებულებებში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა განახორციელეს აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონიტორინგი; აგრეთვე, მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი.

ბიულეტენში გაეცნობით შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის“ მიმოხილვას. მიიღებთ ინფორმაციას 2016 წლისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაზიარებული და ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციების შესახებ. საკანონმდებლო სიახლეების თავში გაეცნობით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომლის მიხედვითაც გათავისუფლებისთვის მომზადების, დაბალი რისკისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების მიღების უფლება მიეცემათ. საერთაშორისო სტანდარტის თავში წარმოდგენილია არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ძირითადი გარანტიების მიმოხილვა.

ნომრის ფოკუსს წარმოადგენს მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში. საერთაშორისო სიახლეებში გაეცნობით ინფორმაციას წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული სტანდარტების შესახებ, რომელიც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სრულწლოვანი პაციენტების მიმართ შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას შეეხება.

ბიულეტენის წინამდებარე ნომერში ასევე იხილავთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის ეკა ხუციშვილის მოსაზრებებს: „პოლიციაში არსებული ხარვეზები ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან“.

2. მთავარი მოვლენა

2.1 საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისა და კონტროლის სისტემის დახვეწაზე მუშაობა დაიწყო

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 19-20 აპრილს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები და წამების პრევენციის ასოციაციის წარმომადგენელი (მრჩეველი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების სფეროში) ბენ ბაკლენდი.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის კუთხით არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელებს გამოწვევების დაძლევის შესაძლო გზებზე.

სამუშაო შეხვედრის შედეგებზე დაყრდნობით, მოწვეული ექსპერტი ბენ ბაკლენდი შეიმუშავებს საჭიროებების შეფასების დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯები, თუ როგორ შეიძლება რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირების და კონტროლის პროცესი გახდეს უფრო ეფექტიანი და მოქნილი.

3. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობა

3.1 განხორციელებული ვიზიტები

3.1.1 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციურ სისტემაში“ - ფარგლებში, 2017 წლის 27 თებერვლიდან 1 მარტის ჩათლით პატიმრების სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარეს N8 დაწესებულებაში, ხოლო 2017 წლის 5 აპრილიდან 10 აპრილის ჩათვლით - N2 დაწესებულებაში.

პროექტი მიზნად ისახავს პენიტენციურ სისტემაში ჯანმრთელობის ხელშეწყობის, პრევენციული ჯანდაცვისა და დაავადებათა პრევენციის კუთხით არსებული მდგომარეობის, მათ შორის შესაბამისი ნორმატიული ბაზის, პატიმრობის პირობების პატიმართა ჯანმრთელობაზე ზემოქმედებისა და დაავადების რისკ ფაქტორების შესწავლას და შეფასებას.

3.1.2 ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განხორცილებული ვიზიტები

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2017 წლის 22 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით მონიტორინგი განახორციელეს აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში.

ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა დაწესებულებაში არსებული გარემო. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ სტაციონარში ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით მოთავსებულ, ასევე იძულებით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, შეისწავლეს სამედიცინო დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ დაწესებულების თანამშრომლებს. მონიტორინგის ფარგლებში აგრეთვე შესწავლილ იქნა პაციენტების მკურნალობისა და რეაბილიტაციის საკითხი.

მონიტორინგის დროს გამოვლენილი ტენდენციები ასახული იქნება სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის შემდგომ ანგარიშში.

3.1.3 ევროკავშირის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი

2017 წლის 10 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი განახორციელეს. პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები თბილისის აეროპორტიდან გაემგზავრნენ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან

საქართველოს 56 მოქალაქის დაბრუნების პროცესს დაესწრნენ.

დასაბრუნებელი პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს გერმანიისა და საბერძნეთისა სასაზღვრო პოლიციამ თვითმფრინავის ბორტზე (დიუსელდორფსა და ათენში) გადასცა. პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი (FRONTEX)“.

დასაბრუნებელი პირების მიღების, შემოწმების და მგზავრობის პროცესის მონიტორინგი უწყვეტად მიმდინარეობდა. დაბრუნების ოპერაციის განმავლობაში რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა რამდენიმე ხარვეზი. კერძოდ, კვლავ არ ხდება დასაბრუნებელ პირთა ინფორმირება საქართველოში ჩამოფრენის ზუსტი დროის შესახებ. ასევე, პრობლემად რჩება დასაბრუნებელი პირების ოჯახთან სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ წინა მონიტორინგების მსგავსად, აღნიშნული პირების ტელეფონით სარგებლობის უზრუნველყოფა განხორციელდა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ „ფრონტექსის“ წარმომადგენლებისათვის პრობლემის შეტყობინების შემდგომ.

3.2 სამუშაო შეხვედრა

სამუშაო შეხვედრა გაეროს პატიმართა მოპყრობის განახლებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებთან (ნელსონ მანდელას წესები) დაკავშირებით

ფოტო: ციხის საერთაშორისო რეფორმა

2017 წლის 13 აპრილს ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ პროექტის ფარგლებში და ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტების თანამშრომლების მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა გაეროს პატიმართა მოპყრობის განახლებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებთან (ნელსონ მანდელას წესები) დაკავშირებით.

სამუშაო შეხვედრაზე გაეროს „ნელსონ მანდელას წესების“ ინტერპრეტაციისა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით გაიმართა თემატური განხილვები და შედარებები „ციხის ევროპულ წესებთან“, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან. დისკუსიის ფორმატში აგრეთვე განიხილეს პრაქტიკაში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები.

3.3 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა

ფოტო: ციხის საერთაშორისო რეფორმა

2017 წლის 16-17 მაისს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - „ყაზახეთის ხელისუფლების მხარდაჭერა მართლმსაჯულების სისტემის გასაუმჯობესებლად“ - ფარგლებში გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმების პირველი საერთაშორისო ფორუმი - „წამების პრევენცია: ყაზახეთი და საერთაშორისო გამოცდილება“.

ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ დიდი ბრიტანეთის, სლოვენიის, საქართველოს, მოლდოვის და ყირგიზეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმების წარმომადგენლები. ფორუმის მიზანი იყო ყაზახეთისათვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა დამოუკიდებელი და ეფექტური პრევენციის

ეროვნული მექანიზმი, ანგარიშების წერა და რეკომენდაციების გაცემა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის მკველვარ–ანალიტიკოსმა აკაკი კუხალეიშვილმა მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ. დისკუსიის დროს ხაზი გაუსვეს გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობასა და სამომავლო თანამშრომლობის საჭიროებას.

3.4 სამუშაო მეთოდოლოგია და თანამშრომელთა სწავლება

ტრენინგი საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისათვის

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

2017 წლის 1–3 მაისს ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე: „პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამუშაო მეთოდოლოგია და საერთაშორისო სტანდარტები.“

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ წამების პრევენციის კონცეფციას, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის პრაქტიკულ ასპექტებს, სამუშაო ინსტრუმენტებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. ტრენინგის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული, პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ასევე სოციალური მზრუნველობის სახლებში მყოფი პირების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვას. ტრენინგის ფორმატი ითვალისწინებდა როგორც თეორიულ სწავლებას, ასევე პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც.

ტრენინგს უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტი მიკოლა გნატოვსკი (წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პრეზიდენტი) და სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნიკა კვარაცხელია.

4. ინფორმაცია ფსიქიატრიული დაწესებულების შესახებ

4.1 შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის“ მიმოხილვა

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

შპს „აკად. ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრი“ დაარსდა 1978 წელს და მდებარეობს იმერეთში, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირში. დაწესებულებაში ნებაყოფლობითი სტაციონალური და ამბოლატორიული სერვისების გარდა, ასევე ფუნქციონირებს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილება, რომელშიც მოთავსებული არიან პაციენტები, რომელთა მიმართაც სასამართლო გადაწყვეტილებით გამოყენებულია იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა, ასევე პენიტენციური დაწესებულებებიდან არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით გადმოყვანილი პაციენტები. დაწესებულება გათვლილია 600 პაციენტზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2015 წელს ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან ერთად განხორციელდა ამ დაწესებულების მონიტორინგი. 2015 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დაწესებულების შენობების ძირითადი ნაწილის ინფრასტრუქტურა იყო ძველი და გაუმართავი, რაც საერთო ჯამში ხელს ვერ უწყობდა პაციენტთა

ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას და პაციენტები იმყოფებოდნენ ღირსების შემლახავ პირობებში.

დაწესებულებაში მყოფი პაციენტები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სტაციონარისთვის აუცილებელი მინიმალური (სტანდარტი 8 კვ.მ92) ფართით. მრავალადგილიანი საერთო პალატები იყო გადატვირთული. დაწესებულებაში არ იყო ცენტრალური გათბობა. პალატებში არ იყო დაცული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. სანიტარულ კვანძებში ინტერიერი და ინვენტარი იყო ამორტიზებული და სარემონტო. კედლები და ჭერი იყო დასვრილი. ჭერიდან ჩამოდიოდა წყალი, ხოლო კედლებზე მოდებული იყო ობის სოკო. ცხელი წყალი მხოლოდ სააბაზანოში მოდიოდა.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის იყო გამოყოფილი სივრცე, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის ინფორმაციით არსებული ფინანსური რესურსი და პროფესიული კადრების რიცხოვნობა არ იძლეოდა სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ქვეპროგრამით განსაზღვრული სტანდარტებით პაციენტის სრულყოფილად მომსახურების შესაძლებლობას. პაციენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა განაცხადა ფსიქო-სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის შესახებ.

მონიტორინგის შედეგები ცხადყოფდა, რომ სასამართლო ფსიქიატრიულ განყოფილებაში არ იყო უზრუნველყოფილი თერაპიული გარემო. პაციენტები დღის განმავლობაში ჩაკეტილნი იყვნენ საკნის ტიპის პალატებში, სადაც არ იყო დაცული პრივატულობა, იყო ცუდი სანიტარული პირობები და ვენტილაცია. პაციენტები სასეირნოდ გაჰყავთ გისოსებით შემოსაზღვრულ ეზოში, რომელიც გალიას ჰგავდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, განყოფილებაში არსებული პირობები და გაწეული დახმარება არ შეესაბამებოდა პირის სტაციონარში მოთავსების მიზანს. განყოფილება პრაქტიკულად, მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების იზოლირების საშუალებას წარმოადგენდა.

იძულებით და პენიტენციური დაწესებულებებიდან გადმოყვანილი, არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტები მკურნალობას გადიოდნენ ერთნაირი, მკაცრი რეჟიმის პირობებში, არადიფერენცირებული მიდგომით. როგორც იძულებითი მკურნალობაზე, ასევე სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსებული პაციენტების შემთხვევაში, ფსიქიატრიული დახმარება მოიცავდა მხოლოდ ფარმაკოთერაპიას, პაციენტები არ იყვნენ ჩართულები რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისკენ მიმართულ პროგრამებში, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში.

განყოფილებებში არ იყო ინდივიდუალური მიდგომა პაციენტების მკურნალობისადმი. არ ხდებოდა მათი ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა და ამ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე გუნდური, მულტიდისციპლინური მუშაობა. პაციენტები არ იყვნენ ჩართულები მკურნალობის პროცესში, არ იცოდნენ მკურნალობის ვადები, „რას ელოდონ მომავალში“; არ იყვნენ ინფორმირებული კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების პროცედურის შესახებ.

2015 წელს განხორციელდა დაწესებულების პრივატიზება.

2017 წლის 22-25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაწესებულებაში განმეორებითი მონიტორინგი ჩაატარა.

შემოწმების შედეგად სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დადებითად შეაფასა დაწესებულებაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოები, რა დროსაც სრულად შეიცვალა 7 ათასი m^2 შენობა-ნაგებობების სახურავი, მოეწყო საკანალიზაციო სისტემის ცენტრალური მაგისტრალი, დამონტაჟდა ბიო-საკანალიზაციო სისტემა, ხოლო 4 განყოფილების პალატები ცენტრალური გათბობით და ცხელი წყლით არის უზრუნველყოფილი. ასევე, დაწყებულია ახალი შენობის მშენებლობა, სადაც ადმინისტრაციის განმარტებით, უნდა მოეწყოს პალატები.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ დაამტკიცა ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მარეგულირებელი დოკუმენტი და პერსონალმა სპეციალურ ჟურნალში პაციენტების ქიმიური შეზღუდვების შემთხვევების დოკუმენტურად დაფიქსირება დაიწყო. დაწესებულებაში მოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც 2014 წლიდან ფორმალურად არსებობდა, 2017 წლის მაისიდან შეხვედრებს ატარებს და პაციენტების კონკრეტული შემთხვევებს განიხილავს.

მიუხედავად ცვლილებებისა, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს დაწესებულებაში მყოფი

პაციენტების უფლებების დაცვის საკითხი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება არასაკმარისია, რაც პირდაპირ კავშირშია მიწოდებული ფსიქიატრიული დახმარების ხარისხზე. პრობლემად რჩება პერსონალის სიმცირე, მათი კვალიფიკაცია და სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობა. ინფრასტრუქტურა მოძველებულია და სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით პაციენტების ყოფა შეიძლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას გაუტოლდეს. დაწესებულება გადატვირთულია, რის გამოც ზოგ განყოფილებაში რამდენიმე დღის განმავლობაში პაციენტები დერეფანში დადგმულ საწოლებზე წვანან.

ადმინისტრაციის ინფორმაციით, დაწესებულებას არ გააჩნია ფინანსური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები სომატური დაავადებების გამოკვლევისა და მკურნალობისათვის. ისევ პრობლემურია ექიმისა და პაციენტების ურთიერთობის კონფიდენციალურობის დაცვის, პაციენტების ინფორმირებულობის და მკურნალობის პროცესში ჩართულობის საკითხები; ვერ ხერხდება პაციენტების ოჯახის წევრებთან ურთიერთობის სათანადოდ უზრუნველყოფა და შესაბამისი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია.

ვიზიტის შედეგების შესახებ სპეციალური პრევენციული ჯგუფი ამზადებს ანგარიშს, რომლის გამოქვეყნების შემდეგ, ის ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის.

5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა

რეკომენდაციების შესრულების დინამიკაში წარმოგიდგენთ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ გაზიარებული და ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციას.

1. **ყოველი სამედიცინო შემოწმებისას მოხდეს დაკავებული პირის სხეულზე არსებული ყველა დაზიანების სრულყოფილი აღწერა და დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად**

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებას[1], რომლითაც დამტკიცდა იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქცია ვრცელდება სამინისტროს ყველა იმ იზოლატორზე, რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.[2] საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, ინსტრუქცია შეესაბამება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს[3] და ეხმიანება, დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის, სამედიცინო ეთიკის დაცვისა და დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით, სახალხო დამცველის მიერ 2014-2015 წლებში გაცემულ რეკომენდაციებს,[4] რაც მისასალმებელია. ამავდროულად, სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს ინსტრუქციის პრაქტიკაში ზუსტად და ზედმიწევნით განხორციელების მნიშვნელობაზე.

/რეკომენდაცია შესრულებულია/

2. **უზრუნველყოფილი იქნას ყველა ვიდეო-ჩანაწერის გონივრული ვადით შენახვა**

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში რეკომენდაციით მიმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა უზრუნველყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობის ჩაწერა და ჩანაწერების გონივრული ვადით შენახვა.[5] დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში ვიდეოჩანაწერის

[1] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანება, დანართი, მუხ. 1(2).

[2] დღეისათვის ამგვარი სამედიცინო პუნქტები მოწყობილია შემდეგ რვა იზოლატორში: თბილისის N1 დმი, თბილისის დმი, აჭარისა და გურიის რეგიონალური დმი, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დმი, ქვემო ქართლის რეგიონალური დმი, კახეთის რეგიონალური დმი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დმი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დმი.

[3] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

[4] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 218, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 214.

[5] სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015 წ, გვ. 218. იხ. ბმული http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf

შენახვის მინიმალური ვადის განსაზღვრა.[6] ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. გადაღებული მასალა ინახება ცენტრალური მართვის ოთახში არანაკლებ 24 საათისა, რა დროსაც, ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერების შევსებისას, ხორციელდება ახალი ინფორმაციის ჩაწერა ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის წაშლის/განადგურების შედეგად. თუმცა, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 24 საათით ჩანაწერების შენახვა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას და, შესაბამისად, მიღებული უნდა იქნას ყველა საჭირო ზომა, რათა ჩანაწერები ინახებოდეს გონივრული ვადით.

/რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია/

3. მიიღოს ყველა საჭირო ზომა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, სათანადო სწავლების, ანგარიშვალდებულების გაზრდის და მკაცრი ზედამხედველობის გზით

სახალხო დამცველი მიესალმება იმ ფაქტს, რომ შსს აკადემიაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხები 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაიარა 889 მსმენელმა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე და კურსებზე.

მიუხედავად ამისა, სასწავლო პროგრამების სილაბუსების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამებში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავთა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საკითხებზე ერთჯერადი გადამზადება და სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებების სწავლებისათვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ ათვისებასა და გააზრებას. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, შემოწმებასა და შეფასებას. ამასთანავე, სახალხო დამცველის აზრით, სპეციფიკური ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიციელთათვის ძალის გამოყენების მეთოდების სწავლებას, რათა მათ შეძლონ კონკრეტული სიტუაციის სწორი შეფასება და ძალის გამოყენების წინასწარ დამუშავებული, ადეკვატური მეთოდის გამოყენება.

/რეკომენდაცია გაზიარებულია - ნაბიჯები გადადგმულია/

4. უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში კონფიდენციალური საჩივრის მექანიზმის დანერგვა

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შემოსული საჩივრების განხილვის 5 დღიანი ვადის დაწესებას, ასევე კონფიდენციალური საჩივრით მიმართვის მიზნით იზოლატორში მოთავსებული პირის კონვერტით უზრუნველყოფის საკითხის ნორმატიულ დონეზე დარეგულირებას.

/რეკომენდაცია შესრულებულია/

5. ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიქმნას პირობები ჰიგიენის დაცვისთვის; ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში ლიკვიდირებულ იქნას ფიცარნაგები და ყველა დაკავებული უზრუნველყოფილ იქნას ინდივიდუალური საწოლით

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს. მიუხედავად ამისა, დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას საჭიროებს.

/რეკომენდაცია გაზიარებულია - ნაბიჯები გადადგმულია/

[6] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს N423 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულება და შინაგანაწესი, მუხლი 11, პუნ. 7.

6. საკანონმდებლო მიმოხილვა

6.1 საერთაშორისო სტანდარტის მიმოხილვა

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ძირითადი გარანტიები

დაკავებულის ინფორმირება უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5(2) მუხლის მიხედვით, ყველა დაკავებულ პირს დაკავებისთანავე, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს დაკავების საფუძვლები და მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების შინაარსი, რათა მას შეეძლოს თავისი დაკავების კანონიერების საკითხი სადავო გახადოს შესაბამის ორგანოში. ამ მუხლის შესახებ დაკავებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მარტივი ენით, რათა მისთვის გასაგები იყოს დაკავების საფუძვლები და წარდგენილი ბრალდება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის პოზიციის თანახმად, დაკავების პირველსავე ეტაპზე დაკავებულ პირებს სისტემატურად უნდა დაურიგდეთ სტანდარტული ფორმა, რომელშიც გასაგებად იქნება აღწერილი მათი ყველა უფლება; თხოვნის საფუძველზე, მათ ხელი უნდა მოაწერონ უფლებების გაცნობის დამადასტურებელ დოკუმენტს.[7]

უკანონო დაკავების შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახის შეზღუდვა თუ დაკავება, რომელიც პირს უზღუდავს თავისუფალ გადაადგილებას თუნდაც შედარებით მცირე პერიოდით, განიხილება თავისუფლების აღკვეთად.[8] აქედან გამომდინარე, თუკი პირი მოექცევა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ, ეს უკვე განიხილება თავისუფლების აღკვეთად და აუცილებელია მას თავიდანვე განემარტოს, თუ რა პროცედურული უფლებებით სარგებლობა შეუძლია.

ოჯახის ინფორმირება

გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ხაზს უსვამს დაკავებული პირის მიერ ოჯახის ინფორმირების უფლების მნიშვნელობას.[9] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც მიუთითებს დაკავებული პირის მიერ თავისი დაკავების შესახებ ინფორმაციის მესამე პირთათვის დაუყოვნებლივ მიწოდების უფლებაზე. კომიტეტი ასევე აღნიშნავს, რომ ეს უფლება შეიძლება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს პოლიციის მიერ გამოძიების წარმოების კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა, ამგვარი გამონაკლისები ნათლად უნდა განიმარტოს, მკაცრად განისაზღვროს დროში და მათი დაშვებისას შესაბამისი დაცვის გარანტიები უნდა იყოს გათვალისწინებული.[10] მოცემული უფლების მიზანია, დაკავებული პირის ოჯახი (ან მესამე მხარე) დროულად იყოს ინფორმირებული დაკავების ფაქტისა და დაკავებული პირის ადგილსამყოფელის შესახებ.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიიჩნევს, რომ პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთათვის მინიჭებული დაცვის ფუნდამენტური გარანტიები გამყარებული იქნება, თუ თითოეული დაკავებულისთვის ცალ-ცალკე იწარმოება ერთიანი და ზედმიწევნითი ჩანაწერი, რომელშიც აისახება მისი პატიმრობის ყველა ასპექტი და მათთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (თავისუფლების აღკვეთის დრო და საფუძვლები, როდის განემარტა უფლებები, როდის დაუკავშირდა ოჯახს/საკონსულოს, ადვოკატს და როდის მოინახულეს მათ). გარდა ამისა, ადვოკატს ხელი უნდა მიუწვდებოდეს აღნიშნულ ჩანაწერებზე.[11]

ადვოკატის ხელმისაწვდომობა

პოლიციის განყოფილებაში ადვოკატის ყოფნა დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა, განსაკუთრებით დაკავების პირველ საათებში.[12] ადვოკატი უნდა ესწრებოდეს დაკავებულის მიმართ განხორციელებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებას. ეს, ერთი მხრივ, საგრძნობლად ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკს, ხოლო, მეორე მხრივ, მინიმუმამდე

---

[7] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 16, პუნქტი 44.

[8] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს უკანონო დაკავების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში (2012 წლის 24 დეკემბერი) პარ. 55, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session22/A.HRC.22.44_en.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

[9] გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი კომენტარი N2, პარ.13, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/docs/CAT.C.GC.2.CRP.1.Rev.4_en.pdf [ბოლოს ნანახია 10.03.2017].

[10] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 15, პუნქტი 43.

[11] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 7, პუნქტი 40.

[12] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 13; პუნქტი 41.

დაჰყავს პოლიციის წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის შესახებ დაუსაბუთებელი ბრალდების წარდგენის ალბათობა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაკავებულის და ადვოკატის შეხვედრა მიმდინარეობდეს კონფიდენციალურად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან საუბრის მიყურადების შესაძლებლობის გარეშე.

ექიმის ხელმისაწვდომობა

პირს დაკავებისთანავე უნდა გაეწიოს აუცილებელი სამედიცინო დახმარება, რაც გულისხმობს კვალიფიციური ექიმის მომსახურებას ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მესამე მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს დაკავებული ადეკვატური სამედიცინო დახმარებით.[13] დაკავებულ პირს დაკავების მომენტიდანვე უნდა შეეძლოს სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა, რაც ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკს. სამედიცინო შემოწმებისას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა აღიწეროს დეტალურად და შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს დაკავებული პირის ან მისი ადვოკატისათვის. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების შესაბამისად, იმ სამედიცინო შემოწმების გარდა, რომელიც დაკავებულ პირს პოლიციის დაწესებულებაში მისვლისას ჩაუტარდება, მას ასევე უნდა ჰქონდეს საკუთარი სურვილით ექიმის არჩევის უფლება.[14]

6.2 საერთაშორისო სტანდარტის ასახვა შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

ევროპული ციხის წესების თანახმად, „ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.“[15]

სახალხო დამცველი მიესალმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ პენიტენციური სისტემის რეფორმის შესახებ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომლის მიხედვითაც გათავისუფლებისთვის მომზადების, დაბალი რისკისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლების უფლება მიეცემათ.

კონკრეტულად კი, გათავისუფლებისათვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს, ასევე მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება ექნებათ ისარგებლონ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების წესი, პირობები და სპეციალობათა ჩამონათვალი განისაზღვრება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვანად მიიჩნევს, რათა განათლების მიღების უფლება თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი სხვა კატეგორიის პატიმრებისთვის.

7. ფოკუსი

7.1 მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ ორგანოებში

2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებულ პირთა რაოდენობა შემცირებულია, თუმცა გაზრდილია დაზიანებით შესახლებულ პირთა და პოლიციის მიმართ პრეტენზიის შემთხვევათა რიცხვი. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში, 2016 წელს იზოლატორში შესახლებულ პირთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით, დაზიანებით შესახლებულ პირთა და იმ პირთა ხვედრითი წილი, რომელთაც პოლიციის მიმართ პრეტენზია გამოხატეს, ყველაზე მაღალია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ასევე გაზრდილია დაკავებისას ან

[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 26 ოქტომბრის განჩინება საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudła v. Poland) N30210/96 (დიდი პალატა) პარ. 94; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 15 ოქტომბრის განჩინება საქმეზე კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kalashnikov v. Russia), N47095/99, პარ. 95.

[14] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 15; პუნქტი 42.

[15] ევროპული ციხის წესები, წესი 28.1.

დაკავების შემდგომ სხეულის დაზიანების შემთხვევათა რაოდენობა.

მონიტორინგისას გამოვლინდა ტენდენცია - დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია გარეგნული დათვალიერების ოქმში ან გარეგნული დათვალიერების ოქმში სხეულის უფრო მეტი დაზიანებაა აღწერილი, ვიდრე დაკავების ოქმში. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დაკავებისას სხეულის დათვალიერებისა და დაზიანებათა დოკუმენტირების ხარვეზებით, თუმცა ამავდროულად ჩნდება მყარი ვარაუდი, რომ დაკავებულმა დაზიანება პოლიციის კონტროლის ქვეშ მიიღო.

აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის დროს გაანალიზდა შემთხვევები, სადაც დაკავების გარემოებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიციას ძალის გამოყენება დასჭირდებოდა, თუმცა აშკარაა, რომ პოლიციის თანამშრომლები ერიდებიან დაკავების ოქმში ძალის გამოყენების შესახებ მითითებას, რაც აძლიერებს ვარაუდს, რომ მათი მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ძალის გადამეტებას და არასათანადო მოპყრობას.

სახალხო დამცველი დანანებით აღნიშნავს, რომ 2016 წლის განმავლობაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პირი ღამის საათებში, ისე რომ დიდი ალბათობით, ამის საჭიროება არ არსებობდა, პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნული უკიდურესად შემაშფოთებელი პრაქტიკაა, რადგან ამ დროს მაღალია პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის და ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკი. შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აუცილებელია დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში უმოკლეს ვადაში გადაყვანა, რამდენადაც ეს უკანასკნელი შედარებით უსაფრთხო ადგილია.

სახალხო დამცველი დანანებით აღნიშნავს, რომ შენარჩუნებულია პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, საქართველოს პროკურატურა კვლავაც განაგრძობს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე გამოძიების დაწყებას სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის განყოფილებაში „გასაუბრების“ მანკიერი პრაქტიკა, რაზეც საქართველოს სახალხო დამცველი 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა. როგორც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნული პრაქტიკის სამიზნე ძირითადად პენიტენციური დაწესებულებიდან ახალ გამოსული ან ისეთი პირები არიან, რომლებიც პოლიციის თანამშრომელთა მიერ აღიქმებიან, როგორც „რისკ-ჯგუფი“ თავიანთი კრიმინალური წარსულის ან სხვა მიზეზების გამო. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ადამიანის ძირითადი უფლებების არაგონივრული შეზღუდვის ხარჯზე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში პოლიციის სამმართველოში პირთა შეყვანის დრო წინ უსწრებს მათი ფორმალური დაკავების მომენტს. ასეთ დროს, როგორც წესი, პირს იძახებენ მოწმის სახით, მის მიმართ ატარებენ გარკვეულ საგამოძიებო მოქმედებებს და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ აკავებენ ოფიციალურად. თუმცა, მას არც მოწმის სტატუსით მიყვანის დროს უმარტავენ საკუთარ უფლებებს, მათ შორის, უფლებას ადვოკატზე, ართმევენ პირად ნივთებს, მათ შორის, მობილურ ტელეფონს, რითაც მიზანმიმართულად უზღუდავენ ოჯახისა და ადვოკატის ინფორმირების უფლებას.

შემაშფოთებელი ტენდენციაა, რომ შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეებიდან თითქმის ნახევარ შემთხვევებში დაკავებულ პირს საერთოდ არ ჰყოლია ადვოკატი. ამას გარდა, იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაკავებულ პირს ჰყავდა ადვოკატი, იგი პროცესში, როგორც წესი, დაკავების მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (1-2 დღე) ერთვება.

ადვოკატის ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანია იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში დასაქმებული საზოგადოებრივი ადვოკატების რაოდენობის გაზრდა და ამ მიზნით შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფა, რათა ის პირები, ვინც საკუთარი ხარჯით ვერ ახერხებენ ადვოკატით

სარგებლობას, დროულად და ეფექტიანად იყვნენ ადვოკატის მომსახურებით უზრუნველყოფილნი.

საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცებას. ინსტრუქცია შეესაბამება წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტებს და ეხმიანება დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის, სამედიცინო ეთიკის დაცვისა და დაზიანებების დოკუმენტირების კუთხით სახალხო დამცველის მიერ გასულ წლებში გაცემულ რეკომენდაციებს, რაც მისასალმებელია. ამავდროულად, სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს ინსტრუქციის პრაქტიკაში ზუსტად და ზედმიწევნით განხორციელების მნიშვნელობაზე. სახალხო დამცველი ასევე მოუწოდებს შსს-ს იზოლატორებში დასაქმებული ექიმების დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტიების შექმნის მიზნით, განიხილოს მათი ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის შესაძლებლობა.

სახალხო დამცველს კვლავ გამოწვევად მიაჩნია იზოლატორში შემოსახლებული პირის პირველადი სამედიცინო შემოწმება კონფიდენციალურ გარემოში. როგორც წესი, გარეგნული დათვალიერების ოქმში დაზიანებების აღწერისას კეთდება მითითება, რომ შემოწმება ჩატარდა ექიმთან ერთად, რაც მიანიშნებს, რომ იზოლატორში შემოსახლებული პირის დათვალიერება და სამედიცინო შემოწმება ექიმმა და იზოლატორის თანამშრომელმა ერთად განახორციელეს.

დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში ვიდეოჩანაწერის შენახვის მინიმალური ვადის განსაზღვრა. შსს-ს დაქვემდებარებულ ორგანოებში ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისას ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში იწერება. გადაღებული მასალა ცენტრალური მართვის ოთახში ინახება არანაკლებ 24 საათისა, ხოლო როდესაც ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერება შეივსება, ახალი ინფორმაცია ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებულ ინფორმაციას მისი წაშლის/განადგურების ხარჯზე, ზედ გადაეწერება. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ 24 საათით ჩანაწერების შენახვა ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას და, შესაბამისად, ჩანაწერების გონივრული ვადით შესანახად ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღებოდეს.

2016 წელს კვლავ პრობლემა იყო პოლიციის სამმართველოებში შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვა. ზოგიერთ რაიონულ სამმართველოებში ვიდეოკამერები არ იყო დამონტაჟებული შენობის არც გარე და არც შიდა პერიმეტრზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ იმ სამმართველოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, სადაც ვიდეომეთვალყურეობა შიდა პერიმეტრზე ხორციელდება, კამერები ძირითადად დამონტაჟებულია შენობის შესასვლელში, ოპერატიული მორიგისთვის გამოყოფილი სივრცის წინ, რაც ვერ უზრუნველყოფს შენობის შიდა პერიმეტრის სრულ მეთვალყურეობას.

სახალხო დამცველი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შემოსული საჩივრების განხილვის 5-დღიანი ვადის დაწესებას, ასევე კონფიდენციალური საჩივრით მიმართვის მიზნით იზოლატორში მოთავსებული პირის კონვერტით უზრუნველყოფის საკითხის ნორმატიულ დონეზე დარეგულირებას.

რამდენად სათანადოდ მოეპყრობა პოლიციელი დაკავებულს, ეს დიდწილად არის დამოკიდებული პერსონალის სამუშაო პირობებსა და მათი მომზადების დონეზე. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პოლიციელები, რომლებიც სათანადო დასვენების გარეშე, ხანგრძლივი დროით მუშაობენ, შეიძლება გადაიღალონ და იმყოფებოდნენ სტრესის ქვეშ, რაც უარყოფითად აისახება მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე და შესაბამისად, ქცევაზეც.

სახალხო დამცველი მიესალმება სამართალდამცავ სტრუქტურებში მიღებული წვევამდელების, უმცროსი ლეიტენანტების, უბნის ინსპექტორთა, დეტექტივ გამომძიებელთა და პატრულ ინსპექტორთათვის სავალდებულო სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების არსებობას. სასწავლო პროგრამების სილაბუსების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამებში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავთა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საკითხებზე ერთჯერადი გადამზადება და სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებების სწავლებისათვის დათმობილი დროის ხანგრძლივობა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი საკითხების

თეორიულ და პრაქტიკულ ათვისებასა და გააზრებას. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო პროგრამისა და ტრენინგის ფარგლებში არსებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდეს კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, შემოწმებასა და შეფასებას. ამასთანავე, სახალხო დამცველის აზრით, სპეციფიკური ყურადღება უნდა დაეთმოს პოლიციელთათვის ძალის გამოყენების მეთოდების სწავლებას, რათა მათ შეძლონ კონკრეტული სიტუაციის სწორი შეფასება და ძალის გამოყენების წინასწარ დამუშავებული, ადეკვატური მეთოდის გამოყენება.

სახალხო დამცველი მიესალმება 2016 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს. მიუხედავად ამისა, დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებას საჭიროებს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დადებითი ცვლილებების კვალდაკვალ, 2015 წელს გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციები, სამწუხაროდ, 2016 წელსაც შენარჩუნდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემები ცხადყოფს, რომ პოლიციის მიერ დაკავებისას ძალის გადამეტება, დაკავების შემდეგ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, დაკავებული პირის მიერ პროცედურული უფლებებით არაჯეროვნად სარგებლობა და სხეულის დაზიანებების არასრულყოფილი დოკუმენტირება კვლავ გამოწვევად რჩება პოლიციის სისტემისათვის. ამდენად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიციის თანამშრომელთა საქმიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესება და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდა. აუცილებელია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღონ მკაფიო გზავნილი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

8. ექსპერტის მოსაზრება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის ეკა ხუციშვილის მოსაზრებები: „პოლიციაში არსებული ხარვეზები ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან“

ფოტო: საქართველოს სახალხო დამცველი

სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხის საზომი კრიტერიუმია საზოგადოების ნდობა პოლიციის მიმართ. ქართულ საზოგადოებას კი არ აქვს ნდობა პოლიციის მიმართ და ამდენად, დემოკრატიის მშენებლობის დღის წესრიგში, ეს საკითხი ხელისუფლების ერთ–ერთი მთავარი გამოწვევაა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ყოველდღიურად შემოდის მოქალაქეების პრეტენზიები განცხადებების სახით, რომლებიც უმეტესწილად პოლიციელების მიმართ სხვა და სხვა პრეტენზიას შეეხება. განცხადებებთან ერთად, არაერთ საქმეს თავისი ინიციატივით სწავლობს სახალხო დამცველი, რომელიც პოლიციელების სავარაუდო დარღვევებს ასახავს. ამ პრაქტიკის საფუძველზე გარკვეული საკითხებია განსაკუთრებით პრობლემური, რომლებიც იწვევს საზოგადოების უნდობლობას პოლიციის მიმართ:

– არასათანადო მოპყრობა

მოქალაქეების განცხადებათა არსებითი ნაწილი შეეხება პოლიციელების მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას. 4 წლის მანძილზე სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე არცერთ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე არ დაწყებულა სისხლის სამართლებრივი დევნა.[16] ეს მოცემულობა თავისთავად მეტყველებს არაეფექტიან და მიკერძოებულ გამოძიებაზე, რომელიც კიდევ უფრო წაახალისებს პოლიციელების მიერ უფლებამოსილების გადამეტებას არასათანადო მოპყრობით თუ სხვა ფორმებით. პრაქტიკაში ასევე, ვლინდება შემთხვევები, როდესაც დაკავების ზუსტი დრო არ აღირიცხება

[16] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2016 წელი, გვ. 8

პოლიციელების მხრიდან, რაც პირის თავისუფლებას უხეშად არღვევს.

– მოქალაქეთა „გასაუბრება“

2015 წლიდან დღემდე საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს „გასაუბრების“ მანკიერ პრაქტიკაზე. კერძოდ, პრობლემად რჩება პირთა თანხმობის გარეშე პოლიციის ავტომობილში ან პოლიციის განყოფილებაში „გასაუბრება“. მსგავსი პრაქტიკის სამიზნე ძირითადად პენიტენციური დაწესებულებიდან ახალ გამოსული ან ისეთი პირები არიან, რომლებიც პოლიციის თანამშრომელთა მიერ აღიქმებიან, როგორც „რისკ-ჯგუფი“ თავიანთი კრიმინალური წარსულის ან სხვა მიზეზების.[17]

– გამოკითხვა

გასაუბრების ფონზე კიდევ უფრო ნათელი ხდება გამოკითხვის პრობლემა. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შესახებ პოტენციური მოწმის გამოკითხვა ნებაყოფლობითია საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუმცა, აპარატში შემოსული მოქალაქეთა არაერთი განცხადება ადასტურებს გამოკითხვის იძულებით პრაქტიკას. ამას ადასტურებს აპარატის მიერ გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც ნებაყოფლობით გამოკითხულ პირთა რაოდენობა პროპორციულად გაცილებით დიდია ვიდრე იმ პირების, რომლებიც ნებაყოფლობით გამოკითხვას არ დათანხმდნენ და სასამართლოს მიერ სავალდებულო გამოძახება გახდა საჭირო.[18] აღნიშნული მონაცემები ობიექტურ დამკვირვებელში აღძრავს ეჭვს, რომ ნებაყოფლობით გამოკითხვის დიდი მაჩვენებელი რეალურად იძულებითი გამოკითხვის შედეგი შეიძლება იყოს და სწორედ ამიტომ არ გახდა საჭირო ამ პირთა სასამართლოს მიერ გამოძახება.

– ქუჩის ნარკოტესტირება

ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირება“ ყოველდღიური მახინჯი პრაქტიკაა, რომელითაც პოლიცია აქტიურად არის დაკავებული. სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა ნარკოტესტირების რეგულაციების კონსტიტუციურობა, რამდენადაც იგი პირდაპირ ლახავს ადამიანის ღირსებას, პატივს და მის თავისუფლებას. მაშინ როდესაც საზოგადოებრივად რეალურად საშიში და გავრცელებული დანაშაულები გაუხსნელი რჩება, პოლიციის რესურსი არაგონივრულად მოქალაქეთა იძულებით ნარკოტესტირებაში იხარჯება[19].

– პოლიციელთა მიმართ დისციპლინური წარმოება მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე

სახალხო დამცველის აპარატში ხშირია განცხადებები, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები პრეტენზიას აცხადებენ პოლიციელთა მხრიდან შეურაცხყოფასა თუ სხვა ფორმის არაეთიკურ საქციელზე. აპარატის პრაქტიკაში, არ გამოვლენილა შემთხვევა, როდესაც პოლიციელის გადაცდომა დისციპლინური წარმოების შედეგად დადასტურდა. აღნიშნული მიუთითებს ხარვეზებზე დისციპლინური წარმოების პროცესში, რომლითაც შეუძლებელია პოლიციელის ყოველდღიური საქციელის შემოწმება მოქალაქის მიმართ. ხარვეზები განპირობებულია არა მხოლოდ მიკერძოებული, არაეფექტური და არასრულყოფილი დისციპლინური წარმოების ჩატარების პრაქტიკით, არამედ, ასევე საკანონმდებლო ხარვეზებითაც – კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოქალაქის მიმართ ანგარიშვალდებულების, წარმოების გამჭვირვალობის და არასასურველი შედეგის გასაჩივრების მექანიზმს.

პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლება სხვა ხარვეზებთან ერთად, უპირველესად, ჩამოთვლილი ხარვეზების გამოსწორებით უნდა დაიწყოს. აუცილებელია პოლიციელმა პასუხი აგოს თითოეული გადაცდომის ან დანაშაულისთვის; მოქალაქეთა მიმართ კეთილგანწყობისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებით შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა თანამშრომლობა პოლიციელთან სრულიად გაცნობიერებული ნებაყოფლობითი მოტივით და არა დაშინებით, შანტაჟით და იძულებით. იძულებითი ნარკოტესტირებისთვს დახარჯული რესურსის სხვა გონივრული მიზნებისთვის წარმართვა პოლიციის საქმიანობას უფრო მეტ პროდუქტიულობას შესძენს დანაშაულთან ბრძოლის პროცესში.

[17] Id. გვ. 7

[18] Id. გვ. 393

[19] ამას ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით არსებული სტატისტიკა, რომლის თანახმადაც მომხდარ დანაშაულთა უმრავლესობა ეკონომიკურია და ამასთან გაუხსნელობის მაღალი რიცხვით. მეორე მხრივ, ნარკოტესტირების შედეგების მიხედვით დაახლოებით 2/3 არ უდგინდება ზემოქმედება.

9. საერთაშორისო სიახლეები

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აქვეყნებს სტანდარტებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სრულწლოვანი პაციენტების მიმართ შეზღუდვის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით

შეზღუდვის საშუალებების ინვაზიური ბუნებიდან და პოტენციურად არასათანადო მოპყრობის რისკების არსებობიდან გამომდინარე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტის მიმართ სხვადასხვა სახის შეზღუდვის საშუალებების გამოყენებას.

გამოქვეყნებული სტანდარტები ეყრდნობა არსებულ თემატიკასთან დაკავშირებულ კომიტეტის წინა გამოცემებს, აგრეთვე კომიტეტის მიერ ბოლო წლებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სამოქალაქო და სასამართლო ფსიქიატრიული დაწესებულებებში განხორციელებულ ვიზიტებს. კომიტეტმა გადაწყვიტა სტანდარტების განახლება შეზღუდვის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით და მათი ერთ დოკუმენტში თავმოყრა.

დოკუმენტის შესავალში საუბარია იმაზე, რომ საბოლოო მიზანს ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს შემზღუდველი საშუალებების არგამოყენება და მათი გამოყენების სიხშირისა და ხანგრძლივობის მაქსიმალური შემცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ჯანდაცვაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა და ფსიქიატრიული დაწესებულებების მენეჯმენტმა შეიმუშაონ სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც გადაიდგმება მთელი რიგი კომპლექსური ნაბიჯებისა, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს უსაფრთხო და დაცული მატერიალურ პირობებს, საკმარისი რაოდენობის ჯანდაცვის პერსონალს, შეზღუდვის საშუალებების გამოყენებაში მონაწილე თანამშრომელთათვის ძირითადი და პერიოდული ტრენინგების ჩატარებას, აგრეთვე ალტერნატიული ზომების გამოყენების განვითარებას (დეესკალაციის ტექნიკა). [20]

[20] ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), http://www.coe.int/en/web/cpt/-/cpt-publishes-standards-on-means-of-restraint-in-psychiatric-establishments-for-adults სტრასბურგი, 21 მარტი 2017 წელი.

საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი 2017 წელი

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს.

საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.

კონტაქტი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179

ტელ: +99532 2234499/2913814/2913815/
2913841/2913842/2913843/2913875/2913876
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
ვებ-საიტი: www.ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქუჩა N9
ტელ: 0422 27 05 44
მობ: 577 50 52 31

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ: 0415 22 36 11
მობ: 577 50 52 34

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქუჩა 4
ტელ: 0362 22 32 83
მობ: 577 12 27 70

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.3
ტელ: 0350 27 99 27
მობ: 591 88 35 38

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
ტელ: 0431253350
მობ: 577 55 33 81

გორი:
სამების ქუჩა N1
ტელ: 0370270549
მობ: 577 78 27 42

მარნეული:
რუსთაველის ქუჩა N51
ტელ: 0357 221970

ოზურგეთი :
დავით აღმაშენებლის N9
ტელ: 0496 27 30 53